პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
სექტემბერი
16
კვირა
მზე ამ. 5 ს. 13 წ.
მზე ჩას. 7 ს. 18 წ.
შესან. მოვლენათა დღიური

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 3 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 365 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 100,000 მანეთი. № 365

კიდევ ერთი დახმარება წითელ-არმიელთა ოჯახებს.

საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს წითელ-არმიელთა ოჯახების მზრუნველობის საქმეს. მან გამოსცა მთელი რიგი დადგენილებათა, რომლებიც უზრუნველყოფენ წითელ-არმიელთა ოჯახებს მეურნეობის დაცემის და დაკნინებისაგან.

მაგალითად ჩვენ ვიცით სასოფლო-სამეურნეო გადასახადი წითელ-ართა ოჯახისათვის მეტად შემცირებულია და მათი ინტერესები ამ მხრივ სავსებით დაცული არის. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება გულგრილად ეპყრობა წითელ არმიელთა ოჯახების მზრუნველობას, და ამ მხრივ გამოცემული დეკრეტები რჩებიან ქაღალდზე და ვერ პოულობენ განხორციელებას სინამდვილეში.

ცხადია ასეთ გარემოებას [illegible] უნდა მიეღოს ბოლო. ამ მიზნით საკავშირო რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭომ მიმართა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს, რათა ამ გარემოებისათვის მიექცია ყურადღება. სახკომსაბჭომ გამოეხმაურა რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს მიმართვას და დაადგინა, რათა ადგილობრივ ხელისუფლებამ—მაზრის თუ თემის აღმასკომებმა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება წითელ-არმიელთა ოჯახებს და ყველა ის დეკრეტები, რომლებიც იცავენ წითელ-არმიელთა ოჯახების ინტერესებს სისწორით და დროზე უნდა იქნას გატარებული მათ მიერ.

ამის გარდა სახკომ საბჭოს ახალი დადგენილება ეხება ერთ მეტად სერიოზულ მოვლენას, რომელიც დიდ ბოროტებას წარმოადგენს წითელი-მხედრობის ოჯახებისათვის.

ხშირად ხოლმე გაჭირვებული ოჯახი წითელ არმიელისა იძულებული ხდება მიმართოს სოფლის ჩარჩს, კულაკს და სდებს მასთან მისთვის არა ხელსაყრელ პირობებს, რასაც შედეგად მოსდევს წითელ-არმიელთა ოჯახების სრული გაღატაკება და მათი მეურნეობის დაცემა.

აი სწორედ ეს მოვლენაც გაითვალისწინა სახკომ-საბჭომ და დაადგინა, რათა ყოველგვარი ასეთი არა ხელსაყრელი ხელშეკრულებანი დარღვეული უნდა იქნას სახალხო სასამართლოს მიერ და ის პირები რომლებიც აიძულებენ წითელ-არმიელთა ოჯახებს ასეთი ხელშეკრულების დადებას და მოინდომებენ მათ გაყვლეფას სასტიკად უნდა იქმნან დასჯილნი.

ამრიგად მთავრობის ეს უკანასკნელი დადგენილება წინა დადგენილებებთან ერთად სავსებით იცავენ წითელ-არმიელთან ოჯახების ინტერესს და მათი მეურნეობის აძლევენ განვითარების საშუალებას. მაგრამ აქ შესაძლებელია. ჩვენმა წითელ-არმიელებმა სთქვანეს—ყველაფერი კარგია, მაგრამ სინამდვილეში ის ცუდად ტარდება ადგილობრივი აღმასკომების მიერ.

ეს ერთი მხრივ მართალიცაა, მაგრამ აქ ჩვენ თვითონ უნდა ავმოძრავდეთ.

თავის წერილებში ოჯახების მიმართ ჩვენ წითელ არმიელებმა უნდა აუხსნან თავიანთ მშობლებს მთავრობის ყველა ეს დადგენილებანი. თუ კი ადგილობრივი ხელისუფლება სუსტია და ვერ ატარებს ცხოვრებაში დადგენილებებს, ამაზედ სწრაფად უნდა შევატყობინოთ ზევით მდგარ ხელისუფლებას.

ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ყველა დადგენილებები მთავრობისა, რომლებიც შეღავათს აძლევენ წითელ არმიელთა ოჯახების მეურნეობას და იცავენ მათ ინტერესებს, იქნა გატარებული სისწორით და სწრაფად.

ერთა ლიგის კრახი.

ერთა ლიგის ისედაც დასუსტებული დაუძლურებული ორგანიზმი—საბერძნეთ იტალიის კონფლიქტმა კიდევ უფრო მოშალა. მუსოლინიმ სასტიკი უარი განუცხადა ლიგას შუამავლობაზე და კონფლიქტში ჩარევაზე. იტალიის ფაშისტების მეთაური დაემუქრა ერთა ლიგას მის წევრობიდან გამოსვლით თუ ის კონფლიქტში ჩაერეოდა. მუსოლინმა გაიმარჯვა კიდეც. საკითხი ერთა ლიგის გარეშე გადაწყდა. მხოლოდ ერთა ლიგას ის დარჩა მხოლოდ, რომ ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილება დაედასტურებია (თუმცა ამას საჭიროება სრულებით არ მოითხოვდა).

როგორც ცნობილია, ერთა ლიგა ზავის და მშვიდობიანობის დამცველია. მისმა დამაარსებელმა დაავალეს ლიგას ეზრუნვა ევროპის მშვიდობიან ცხოვრებაზე და თუ რაიმე უთანხმოება აღმოცენდებოდა მის წევრებს შორის—მშვიდობით მოეგვარებია.

ერთა ლიგა ვერსალის ყაჩაღურ ზავის პირმშო შვილია. ის მსოფლიო ყაჩაღების მოგონილია და შეთითხნილი. მერე რისთვის? ზავის და მშვიდობიანობისათვის. სასაცილოა, იმპერიალიზმი და მშვიდობიანი ცხოვრება. იმპერიალიზმი თავის საშოში მუდამ და ყოველთვის ატარებს ომის საფრთხეს. ის ყოველ წუთს მზათაა დაღვაროს მშრომელთა უმანკო სისხლი, ოღონდ კი საკუთარი საქმე მოიგოს. ეს დღეს ყველამ იცის. ამავე დროს იმპერიალისტები გვთავაზობენ მათ მიერ შექმნილ ერთა ლიგას, რომელმაც უნდა უზრუნვოს მშვიდობიანობისათვის.

იმპერიალისტების თვალთმაქცობა ერთა ლიგის დაარსებაში იქედანაც ჩანს, რომ მასში არ შეიყვანეს წევრებად დამარცხებული ქვეყნები. ის მხოლოდ ანტანტის სათამაშო ბურთად გადაიქცა. ლიგაში არ მიიღეს რუსეთი (არც არავინ ითხოვდა), გერმანია, ავსტრია და ოსმალეთი. ეს ქვეყნები არ გახადეს ერთა ლიგის წევრობის ღირსი, ვინაიდან ისინი ანტანტის მოწინააღმდეგე ბანაკში იმყოფებოდენ. მაგრამ უფრო საინტერესო ის არის, რომ ლიგაში არ შევიდა ამერიკაც კი. ის ამერიკა, რომელიც თითქმის ავტორი იყო ერთა ლიგის. ამას მივუმატოთ კიდევ ის, რომ ლიგაში არ შედიან აზიის არც ერთი ქვეყანა, გარდა იაპონიისა. დანარჩენ ქვეყნებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ერთა ლიგის უნიადაგობა ჩვენ მის დაარსებისთანავე აღვნიშნეთ. ჩვენ ვთქვით, რომ მას არ შეუძლია არავითარ ნაყოფის გამოღება, არავითარ საქმის გაკეთება და დარჩება ჰაერში ჩამოკიდებული და გახდება იმპერიალისტების სათამაშო ბურთი თქო. ეს დღეს სავსებით გამართლდა.

იმპერიალისტები თავის სურვილისამებრ და საკუთარ ინტერესების მიხედვით წყვეტენ ყოველგვარ საკითხს. ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევენ ლიგას. თუ საჭირო იქნება ლიგა კიდეც დაადასტურებს მათ ავანტიურას. მაგრამ არის ხოლმე საჭიროება, როდესაც უნდა მიმართონ ერთა ლიგის ავტორიტეტს და მის მეოხებით აიცილონ რაიმე საფრთხე თავიდან.

ასეთს სურათს ჩვენ ვხედავთ იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის დროს. ანტანტას არ სურდა ომი. ახლა მისთვის არ იყო საჭირო სამხედრო მოქმედებების განახლება. ამისათვის ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება თავს იდვა ერთა ლიგამ. მაგრამ დახეთ უბედურებას. ანტანტას და ლიგის ერთ-ერთმა წევრმა მუსოლინის იტალიამ უარი მოახსენა ერთა ლიგას- არ გაბედო ჩვენს საქმეში ჩარევა, თორემ დავტოვებ ერთა ლიგასო. მუსოლინის ასეთმა განცხადებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ერთა ლიგის სრული გაკოტრება. საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტმა საბოლოოდ გაუტეხა ისედაც შელახული სახელი ერთა ლიგას.

ერთა ლიგის ავტორიტეტი საბოლოოდ დაეცა. მის რიგებიდან გამოსვლით იმუქრებიან მრავალი სახელმწიფოები.

თუმცა იტალია დარჩა ლიგაში, მაგრამ სახელი კი სამუდამოდ გაუტეხა მას. ერთა ლიგის დღეები დათვლილია.

ს.

სპარსეთი და ინგლისი.

უკანასკნელ ხანებში სპარსეთის ამბები დიდ ყურადღებას იპყრობს. ბრძოლა ინგლისელ მტაცებლებსა და სპარსეთის ნაციონალისტებს და დემოკრატებს შორის თან და თან მწვავდება. ინგლისის გაუმაძღარი იმპერიალიზმი ცდილობს სპარსეთის ხელში ჩაგდებას და მის სიმდიდრის ექსპლოატაციას. სპარსეთის ნაც-ბი და დემოკ-ბი კი ცდილობენ სპარსეთის განთავისუფლებას ინგლისელ ყაჩაღებისაგან და ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, ეროვნულ ჩაგვრის მოსპობას და სპარსეთის ხალხის განთავისუფლებას იმპერიალიზმის კლანჭებისაგან.

ბრძოლა ინგლისისა და სპარსეთის დემოკრატების და საერთოდ სპარსეთის მშრომელ ხალხს შორის არ ახალია. მას დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ უკანასკნელ წლებში ეს ბრძოლა თან და თან ვითარდება.

1917 წლის ხელშეკრულების ძალით სპარსეთი დაყოფილი იყო სხვა და სხვა ზონებათ დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის. 1919 წლის ინგლის-სპარსეთის შეთანხმებით, რომელიც დადებულ იქმნა სპარსეთის ხალხის დაუკითხავათ და დამალული იყო ხალხისაგან, ინგლისმა ხელში იგდო სპარსეთის მთელი სიმდიდრე, ნედლი მასალა და ნავთის წყაროები.

ამ იმპერიალისტურ პოლიტიკის წყალობით ინგლისმა მიიყვანა სპარსეთი უფსკრულის პირათ, ქვეყნის ეკონომიური ძალები ააფორიაქა და გამოკრთა სპარსეთის მთელი სიმდიდრე.

ასეთ მდგომარეობის დროს ხანები და კონსერვატორები, ინგლისის იმპერიალისტების მიერ მოსყიდულნი, განაგრძნობდენ არხეინად ცხოვრებას და დროს ტარებას.

სპარსეთის ნაციონალისტები და დემოკრატები კი აწარმოებდენ სასტიკ ბრძოლას ინგლისის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ გამოიღო შესაფერი ნაყოფი და 1920 წ. აგვისტოში ძალაუფლება აიღო ნაციონალისტების და დემოკრატების ლიდერმა სენდ-ზია-ედინმა. ამ მთავრობის დაარსებამ ლახვარი ჩასცა ინგლისის ბატონობას, მაგრამ ეს მთავრობა ხან მოკლე გამოდგა და ის მალე დაეცა. სპარსეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიამ ბევრი იცის მაგალითები, როდესაც რევოლიუციონერები ან ერთმანეთს დაერეოდნენ და ან კიდევ მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადადიოდენ. ასე დაემართა სენდ-ზია-ედინსაც.

უკანასკნელ ხანებში კი სპარსეთში ინგლისის მდგომარეობა ერთობ გართულდა. სპარსეთის ხალხმა გამოუცხადა ბოიკოტი ინგლისის საქონელს, განდევნა ინგლისის ოფიცრები სპარსეთის არმიიდან, სამღვდელოებამაც კი აღიმაღლა ხმა ინგლისის წინააღმდეგ. ასეთ დროს ინგლისიც არ ეძინა. მან მთელი ძალღონე მიმართა სპარსეთის გამანთავისუფლებელ მოძრაობის დასამარცხებლად, შეისყიდა სპარსეთის მემამულეები და სხვა გამოჩენილი პირები და გადასწყვიტა შექმნას სპარსეთში რიზა-ხანის სამხედრო დიქტატურა. ეს მან კიდეც შესძლო. რიზა-ხანი გამოჩენილი ანგლოფილია და სპარსეთის ხალხის დაუძინებელი მტერი. ინგლისი ახალ რიზა-ხანს ეყრდნობა და მისი საშუალებით ფიქრობს სპარსეთ შერყეულ მდგომარეობის განმტკიცებას.

როგორც აღვნიშნეთ ინგლისის და სპარსეთის ხალხის ურთიერთობა მეტად გამწვავებულია. სპარსეთის მშრომელი ხალხი ღვიძებს და სამკვდრო სასიცოცხლო ომს უცხადებს ინგლისის მოძალადეებს. ინგლისიც ემზადება ბრძოლისათვის და ის ყოველგვარ საშუალებას ხმარობს სპარსეთის ბაზრის და სიმდიდრის შენარჩუნებისათვის.

მაგრამ რაც არ უნდა ეცადოს ინგლისმა სპარსეთის მშრომელები შესძლებენ იმპერიალიზმის ბრჭყალებისაგან თავის დაღწევას. ინგლისის ნიადაგი ეცლება სპარსეთში და სპარსეთში ინგლისის დამარცხება დასაწყისი იქნება იმ დიდ საქმის, რომელსაც ეწოდება აღმოსავლეთის ხალხის დასავლეთის იმპერიალიზმისაგან განთავისუფლება.

—ვა

დეპეშები.

— ესპანიაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. ძველი კაბინეთი გადადგა.

— მეფის დავალებით სდგება ესპანიაში ახალი კაბინეთი გენერალ დე-რივერას თავმჯდომარეობით.

რაზედ სწერენ გაზეთები

მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებრივ წრეებში. მენშევიკური პარტიის „ცეკა" ამას თავისებურად ხსნიდა. მშიშარებს უწოდებდა მათ ან კიდევ ჩეკას ძალდატანებას აწერდა მენშევიკების პარტიიდან გამოსვლას.

მაგრამ საქართველოს ყრილობამ ყველას აუხილა თვალი, 12 ათასი წევრი მენშევიკური პარტიისა იყო წარმოდგენილი ამ ყრილობაზე და მათ გაბედული ნაბიჯი გადასდგეს — მოახდინეს საქ. ყოფილ მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია.

გაზეთი „კომუნისტი" ეხება ბ. ს. დევდარიანის „ღია წერილს", რომელიც მას გაუგზავნია საქ. ყოფილ მენშევიკების საინიციატივო ბიუროსათვის.

ბ. დევდარიანი, მენშევიკური პარტიის ერთი თვალსაჩინო იდეოლოგი და ხელმძღვანელთაგანია, ამისათვის მეტად საინტერესოა მისი აზრი მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციის შესახებ.

„ბ. დევდარიანი იძულებულია აღიაროს, რომ მენშევიკური პარტიის დაშლა შეუძლებელია ახსნას მარტო ძალადობით; ეს იყო და არის ყოფილ მენშევიკების ნებაყოფლობითი აქტი.

მხოლოდ აქ საკვირველი ის არის, რომ ბ. დევდარიანი თავს არ იწუხებს ამ ნებაყოფლობითი პროცესს კლასობრივი, სოციალ-ეკონომიური სარჩული გამოუნახოს.

ის აღნიშნავს, რომ თითქო პარტიიდან გამოვიდნენ, ჯერ ერთი, ისინი, ვინც ნამდვილი პარტიული ცხოვრებით არასოდეს არ ცხოვრობდა, მეორე, ისინი, რომელთაც დაეკარგათ იმედი ინტერვენციისა და მისი საშუალებით ძველი მდგომარეობის აღდგენის.

პირველ მოსაზრებას სავსებით აპათილებს ყოფილ მენშევიკურ პარტიის ყრილობის შემადგენლობა, რომელიც შეიცავდა მარტოოდენ მშრომელ, მუშურ-გლეხურ ელემენტებს დიდი რევოლიუციონურ სტაჟის მატარებლათ. მეორე მოსაზრება სავსებით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელი წრეები მომხრენი იყვნენ საქართველოს ინტერვენციის. და მენშევიკურმა მასსამ დაშალა პარტია არა იმიტომ, რომ ეს პარტია ინტერვენციული იყო და მას კავშირი ჰქონდა დასავლეთის იმპერიალისტურ მთავრობებთან.

ბ. დევდარიანი ვერ ამჩნევს, ან არ სურს დაინახოს ის იდეური ძიება და გარდატეხა, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს ყოფილ მენშევიკურ პარტიაში, და ის მიზეზები, რომლებმაც ის გამოიწვიეს.

ამიტომაც ის მოუწოდებს თავის ყოფილ ამხანაგებს „იდეურ ძიებისაკენ."

რაც შეეხება თვით ბ. დევდარიანს, როგორც ეტყობა, მასშიაც დაწყებულა ეს ძიება, არც ის უნდა იყოს კმაყოფილი თავის წარსულით და ალბათ ამიტომაც ლაპარაკობს ამ ძიებაზე, თუ ეს გულწრფელადაა ნათქვამი.

სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს".

საქ. მენშევიკური პარტია ჩაბარდა წარსულს. მას წესი აუგო თვით მისმა 12 ათასმა წევრმა.

ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუცია და მუშათა კლასი, შეუერთდება ამ დიად საქმეს.

— ბავარიის მთავრობა მხარს უჭერს შტრეზემანის საგარეო პოლიტიკას.

— შტრეზემანმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა გერმანიის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

— მაროკოში აჯანყებულებმა დაიკავეს კომუნისტური და რევოლიუციონერების ორგანიზ. შენობები.

— საქსონიაში გააუქმეს დემონსტრაციების აკრძალვა.

— რურში გამოვიდა ახალი კომუნისტური გაზეთი.

საბჭოთა ფედერაციაში.

5.000.000 ფუთი პურის დამზადება.

დამზადებულ იქნა ადგილებზე 5.000.000 ფუთი პური. სამხრეთ რაიონის ხორბლის ღირსება ძლიერ კარგია.

ჩრდილოეთის — დაბალია.

სრულიად საკავშირო გამოფენა.

სახალხო გზათა კომისარიატმა წარმოადგინა გამოფენაზე აგრო-მატარებელი ლენინის სახელობის, ოთხი ვაგონით, რომელშიაც იმყოფება მუზეუმები დიაგრამებით და მოდელებით მემინდვრეობასა, მებოსტნეობასა, მებაღეობასა, მესაქონლეობასა და მავნებლების საწინააღმდეგო ბრძოლაზე.

მეხუთე ვაგონში წარმოდგენილია აუდიტორია კინემატოგრაფით, მატარებელს ემსახურება რვა აგრონომი.

გერმანიის ამბები.

ახალი კომუნისტური გაზეთი რურში.

საფრანგეთის ხელისუფლების მიერ რურში კომუნისტური გაზეთის დახურვის შემდეგ, გამოშვებულ იქნა ახალი ორგანო „რურიშე როტეფანე". პირველ ნომერში მოთავსებულია კომუნისტური პარტიის მოწოდება რურში გერმანიის და საფრანგეთის კაპიტალის გაერთიანების წინააღმდეგ და მოუწოდებს პროლეტარული რაზმების შექმნისაკენ.

საფრანგეთის ჯარის კაცებმა მილიონიანი ფონდი შეაგროვეს გაზეთის სასარგებლოდ.

დემონსტრაციების აკრძალვის გაუქმება.

საქსონიის კომუნისტების მოთხოვნილება დემონსტრაციების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა. მესდეგა დრეზდენის უმუშევართა დემონსტრაცია, რომელიც მოწყობილ იქმნა მოქმედების სარევოლიუციო კომიტეტის მიერ. უმუშევართა დელეგაცია დრეზდენის ობერ-ბურგომისტრის კიულცის და უმუშევართა კავშირის წარმომადგენლების მეთაურობით დაბრუნდა ბერლინიდან.

ესპანიის ამბები.

სამხედრო გადატრიალება ესპანიაში.

ესპანიაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. მოძრაობა დაიწყო ბარსელონაში და შემდეგ გავრცელდა სხვა ქალაქებშიდაც. ბარსელონის სამხედრო გუბერნატორი გამოქვეყნებულ პროკლამაციაში თავს ესხმის მთავრობას და აცხადებს: რომ ძალაუფლების სამხედრო პირების ხელში გადასვლა ხანგრძლივი არ იქნება: „დეილი მეილის" ცნობით მთავრობა უთუოდ გადადგება.

მეფე ალფონსისადმი თავის მიმართვაში გენერალი დირივერა ირწმუნება, რომ მოძრაობა მიმართულია მხოლოდ მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც გამოიწვია საერთო უკმაყოფილება მოსკოვში წარმოებული პოლიტიკით და მოითხოვს დაუყონებლივ მთავრობის გადადგომას. გავრცელებულია ხმები შინაგან საქმეთა ბილლონის დატუსაღების შესახებ.

სხვა და სხვა ამბები

სპარსეთი

სპარსეთის დაკვეთა რუსეთში.

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის თათბირზე სპარსეთის მეჯლისის წევრმა აჰბაბ ქეი-ხოსროვმა განაცხადა სურვილი მისცეს დაკვეთა ელექტრიულ ქაღალდის სამრეწველოს სინდიკატს და დაიკავოს ურთიერთობა სართავ სინდიკატთან.

საბერძნეთი.

საბერძნეთის ტერორი ფრაკიაში.

ბულგარეთის პრესა იუწყება ბერძნების მიერ ფრაკიაში ადგილობრივ მცხოვრებლების დევნის შესახებ. კონტკეეში სამხედრო სასამართლოში 15 მუსლიმანს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, ხოლო 26-კი ხანგრძლივი ციხე. სოფიაში მომხდარ ფრაკიიდან გამოქცეულების კონფერენციამ, რიცხვით 300.000 კაცმა, თხოვნით მიმართა ერთა ლიგას, რათა უკანასკნელი ჩაერიოს საქმეში.

შტრეზემანი გერმანიის ფინანსიური კრიზისის შესახებ.

ჟურნალისტების ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში შტრეზემანმა სხვათა შორის აღნიშნა, რომ გერმანიაში ფინანსიური კრიზისი გამოწვეულია რურის ოლქის ოკუპაციით და სამუშაო ხელფასის დაკანონებაში პანიკურ პოლიტიკის წარმოებით. შტრეზემანის აზრით სამთ წარმოების გადიდებით ოკუპაციის გარეშე მყოფ გერმანიაში, გერმანიის სახალხო მეურნეობა შეინარჩუნებს ვალიუტას, რომელიც იხარჯება ეხლა ინგლისიდან შემოტანილ ნახშირში. მყარი ვალიუტის გამოშვების საკითხი გადაწყდება ორი კვირის განმავლობაში. მარკა არ უნდა გაუქმდეს.

ბურჟუაზია მტკიცეთ ირაზმება.

კოალიციონური პრესა თანაგრძნობით ეპყრობა შტრეზემანის სიტყვას, მემარჯვენე პრესა აკრიტიკებს რა შტრეზემანის სიტყვის ნაწილს ფინანსიური პოლიტიკის შესახებ, სრულიად ეთანხმება იმ პოზიციას, რომელიც დაიკავა მან მუშათა საკითხში. ამგვარად ბურჟუაზია შემჭიდროებული რიგებით გამოდის მუშათა კლასის ექსპლოატაციის საკითხში, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს სოციალ დემოკრატიის პოზიციის სისუსტეს, რომლის მთავარი ბეჭვდითი ორგა „ფორვერტსი" ეთანხმება შტრეზ მანის მოთხოვნილებებს შრომის ინ ტენსიფიკაციის საკითხში, და მო თხოვს მთავარ პირობებათ მხოლ 8 საათის სამუშაო დღის შენახვ

ცეიგნერი არ მიდის კომპრომისზე.

ბერლინში ჩამოსულ საქსონიის მთ რობის თავმჯდომარეს, სოციალ-დ მოკრატ ცეიგნერს ხანგრძლივი ს უბარი ჰქონდა შტრეზემანთან, სი კონფლიქტის შესახებ პრუს სამხედრო მინისტრ გესლერთ შტრეზემანის ცდები კომპრომისე გამონახვის შესახებ, უშედეგ დამთავრდა.

ფიუმეს საკითხი.

საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტს, რომელიც ახლა თითქმის მოგვარებულია, მიემატა კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — ფიუმეს საკითხი. ფიუმესათვის დავა სწარმოებს იტალიასა და სამხრეთ სლავიას (ყოფ. სერბია) შორის.

მუსოლინი ხელებს უპოტინებს ბალკანეთს და უნდა გახდეს ბატონპატრონი ადრიატიკის ზღვაზე და შემდეგ კი მთელ ხმელთა შუა ზღვაზე.

ფიუმე ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქია დალმაციაში, ადრიატიკის ზღვაზე.

ფიუმეში მეტად განვითარებულია ვაჭრობა მრეწველობა, ტყავის, ქაღალდის და სხ. მრავალი წარმოებები აყვავებულია იქ. ამას გარდა ფიუმე წარმოადგენს საუკეთესო პუნქტს ადრიატიკის ზღვის ნაპირას, ასე, რომ ვინც ფლობს ფიუმეს, ის გაბატონებული იქნება ამ ზღვაზე.

ფიუმესათვის ბრძოლა დიდი ხანია სწარმოებს. იმპერიალისტურ ომამდი ფიუმე ეკუთვნოდა ავსტრო — უნგრეთს.

1915 წლის ლონდონის ხელშეკრულების ძალით, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა, იტალიას ეპირებოდა დალმაციის ნაპირები ქალაქებით: სპალატოთი და ზაროით, იმ შემთხვევაში თუ იტალია გერმანია-ავსტრიის წინააღმდეგ გამოვიდოდა. მაშინ ამ დადგენილების წინააღმდეგ გაილაშქრა სერბიამ და აღნიშნა, რომ ადგილების მოსახლეობის 97 პროც. შეადგენენ სერბებს და კანონიერად ჩვენ გვეკუთვნისო. სერბიის პროტესტი არ იქმნა მიღებული.

ომის გათავების შემდეგ კი დავა ხელახლა ატყდა. სერბიამ წინადადება შეიტანა გადაეცათ საკითხი სამედიატორო სასამართლოსათვის, სასამართლოს თავმჯდომარეთ ვილსონი დაასახელა, რომელიც სერბიის მოთხოვნილებებს იცავდა. მაგრამ იტალიისათვის არ იყო ხელსაყრელი სერბიის მოთხოვნილება და მან საკითხი ვერსალის კონფერენციაზე გადაიტანა.

აქ კი ამ დროს სულ სხვა გვარი განწყობილება იყო ვიდრე 1915 წ. ლონდონში. გერმანია და ავსტრია დამარცხებული და განადგურებული იყვნენ. საფრანგეთს კი არ სურდა გაძლიერებია იტალია ადრიატიკაზე და ამით ახალი მეტოქე შეექმნა ბალკანეთში. იტალიას შესთავაზეს დალმაციის ნაწილის მაგივრად ნავთსადგური ფიუმე, ისიც პლებისციტის პირობით. იტალიის დელეგაცია ამ სასტიკი უარით უპასუხა ამ წინადადებას. საკითხმა მიიღო მწვავე ხასიათი და უფრო გართულდა მდგომარეობა, როდესაც ვილსონი აშკარად გამოვიდა სერბია-საფრანგეთის ინტერესების დამცველად და წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიაც ამერიკა იცავდა სერბიას და მის მოთხოვნილებებს. ვილსონის დეკლარაციის საპასუხოდ, იტალიის დელეგატებმა დასტოვეს პარიზი. თუმცა შემდეგ ისინი დაფიქრდენ და მალე დაბრუნდენ, მაგრამ ადრიატიკის საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა.

ამ ხანებში ფაშიზმი იტალიაში საკმაოდ გაძლიერდა და სერბია იტალიის კონფლიქტში გაბედულად ჩაერია. დ'ანუნციოს ლეგიონერებმა 1919 წ. სექტემბერში გადასხეს ჯარი ფიუმეში და დაიკავეს ეს ქალაქი. იმ დროს იტალიაში იყო ნიტტის სამინისტრო, რომელიც ფარულად ხელს უწყობდა ფაშისტების ავანტიურას. მაგრამ ვინაიდან არ სურდა პარიზის კონფერენციასთან უთანხმოება მოსვლოდა უბრძანა დ'ანუნციოს დაეტოვებია ფიუმე; დ'ანუნციო არ დათანხმდა და გამოაცხადა ქალაქი და მისი მიდამოები თავისუფალ რესპუბლიკათ.

მხოლოდ 1920 წ. 12 ნოემბერს იტალიამ და საბერძნეთმა ურთიერთშორის მოლაპარაკებით მიაღწიეს „შეთანხმებას". სერბია ამ დროს მოკლებული იყო საფრანგეთის მფარველობას და იძულებული იყო მიეღო იტალიის პირობები. იტალიამ მიიღო ჩრდილოეთი დალმაცია ქალაქ ზაროით. ქ. ფიუმე კი, რომელიც არის ერთად-ერთი მნიშვნელოვანი ნავთსადგური ადრიატიკის აღმოსავლეთ ნაპირზე, გამოცხადებული იქნა თავისუფალ ქალაქად, მაგრამ ფაქტიურად შეიქმნა იტალიის, ვინაიდან მან ხელში ჩაიგდო კუნძულები, რომელნიც იფარვენ ნავთსადგურს.

ამგვარად სამხრეთ-სლავიის (სერბიის) წაერთვა საშუალება ადრიატიკის ზღვაზე გამოსვლის.

იტალიამ კი ხელში ჩაიგდო ბალკანეთის ვაჭრობის კონტროლიორობა, რომელიც სწარმოებს ადრიატიკის ზღვის საშუალებით, ვინაიდან ფიუმეს ამ შემთხვევაში პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. თავისთავად ცხადია, რომ საკითხის ასეთი გადაჭრა არ დააკმაყოფილებდა სერბიას. სერბია ემზადებო რევანშისათვის, იტალიამ კი დაის მიზნად ფიუმეს სავსებით ხელში გდება.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს გრძელდა. ახლა კი მუსოლინმა ცრად განაცხადა თავისი უფლებ ფიუმეზე და წარუდგინა სამხრეთ-ს ვიას ახალი მოთხოვნილებები. სურს დაეპატრონოს ალბანეთის გილებს ადრიატიკის ნაპირზე. მ ნი გარკვეულია.

საქმე იმაშია, რომ მუსოლი შესაფერი დრო უპოვა სამხრ სლავიას. დღეს სამხრეთ-სლავ შინ მეტად არეული აქვს საქმე ნაციონალურ ომების წყალობ ხორვატიაში აჯანყებაა მოსალოდ ლი; ხორვატია კი სადაო ადგილ საზღვარზეა. ეს კიდევ უფრო ა ლებს სამხრეთ-სლავიის მდგომარ ბას.

ამგვარად ფიუმეს საკითხი, მელიც დაკავშირებულია საბერძ —იტალიის კონფლიქტთან, გა ლებებით იმუქრება და მას სერიოზული ხასიათი აქვს პარველს.

მუსოლინი მიილტვის ბალკანე ბატონობისაკენ. შესძლებს კი ვის ბნელ ზრახვების განხორ ბას?

ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარში

გამოცდები დივიზიის საავადმყოფოში.

1

საღამო ხანია. ჩამავალმა მზემ უკანასკნელად სტყორცნა თავისი მრავალფეროვანი სხივები ამწვანებულ ბუნებას.

წითელ-არმიელებს შეუყრიათ თავი ეზოში და ოხუნჯობა საუბარში ატარებენ დროს. გრილი ნიავი სისინებს და აზხება მათ მზისაგან დაწითლებულ სახესა. აკაციის მწვანე ტოტებზე პატარა ჩიტუნები მხიარულად ჰიკჰიკობენ. შორიდგან მოისმის როიალის საამო აკორდები, რომელიც შორს იფანტება ბუნების უსაზღვრო წიაღში.

— ნიკა როგორა გრძნობ თავსა, ცუდ გუნებაზედ ხომ არ დადექ გამოცდების მოლოდინ ში, მიუბრუნდა ერთი წითელ არმიელი მეორეს, რომელიც მოშორებით წამოწოლილიყო გრძელ სკამზე.

— ვითომ რა გინდა შენ მაგითი სთქვა, შეიძლება ფიქრობ, რომ შენზედ ნაკლებ უპასუხებ? რაც გვისწავლია ყველაფერი კარგათაც მახსოვს.

აბა ერთი მითხარი თუ კარგათ გახსოვს როდის დაარსდა პირველი ინტერნაციონალი?

როდისა? 1864 წელში კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ხელმძღვანელობით.

— აბა ის მითხარი მეორე როდის დარსდა? ამასაც თუ იტყვი მაშინ ხუთს დაგისვამ... წითელ არმიელებმა ერთი გულიანად გადიხარხარეს,—აბა რომელი მასწავლებელი შენა ხარ, რომ ხუთს უსვამ: უთხარი ნიკა, უთხარი.

მეორე ინტერნაციონალი დაარსდა 1889 წელს მიუგო მათ ნიკამ.

— ყოჩაღ ნიკა ყოჩაღ შესძახეს მას წითელ-არმიელებმა.

—ყველამაც რომ კარგათ გავიდეს გამოცდებზე კუმლაძე მაინც ჩაიჭრება. წამოიძახა ერთმა წითელ-არმიელმა და გაიშვირა ხელი მეორე მხარეს, სადაც უდარდელად წამოწოლილიყო კუმლაძე: თვალები მიუპყრია ცის უსაზღვრო სივრცისაკენ, თითქოს ახალ აღმოჩენილ პლანეტს ათვალიერებსო და თანაც გულმოდგინეთ რაშორაჯრას ხმაზე სტვენს.

— აბა ამხანაგო ჩამოდით კლუბში გამოცდები იწყება, დაიძახა წკრიალაშვილმა და წითელ-არმიელებიც წამოიშალნენ.

კუმლაძე ზარმაცად წამოიწია ზევით რომელიც ეხლა გამოერკვა უზრო ოცნებიდან.

— ბიჭებო, უბეში ქვები ჩაიდეთ, რომ გული მაგრათა გქონდეთ გამოცდებზე—იოხუნჯა ერთმა.

— ეს კუმლაძეს დასჭირდება, კუმლაძეს, დაუმატა მეორემ და გაეშურა კლუბისაკენ.

2.

კლუბი, ეს წითელ-არმიელების შესვენების ტაძარი, კოხტად მორთული, ელექტრონის სინათლით გაჩირაღდნებული მიეგება წითელ-არმიელებს. წითელი ლამფის სხივები ეთამაშება კარლ-მარქსის, ლენინის და ტროცკის სურათს. სცენის წინ დგას გრძელი მაგიდა წითელი სუფრით, რომელზედაც გამწკრივებულია ქაღალდები და ფანქრები. მაგიდის გარს შემოსხდომიან გამოცდების ჩამტარებელი კომისიის წევრნი.

ამხ. კულუმბეგაშვილი გამოცდების დაწყების წინ ამბობს მოკლე სიტყვას, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელ გამოცდებს, რის შემდეგაც ხდება წითელ-არმიელების სათითაოდ გამოძახება. აძლევენ შეკითხვებს სათითაოდ ყველა წრეებში პოლიტიკურ და სანიტარულ ცოდნის გამოსარკვევად, წითელ-არმიელებიც უპასუხებენ შეძლების და გვარად. ყველას სახეზე სიამოვნება იხატება, ხშირად სიცილს იწვევს წითელ არმიელებში არა სწორი პასუხი რომელიმე შეკითხვაზე.

— დროა შევსწყვიტოთ, ამბობს თავმჯდომარე, უკვე ათი საათია—ხვალ კვლავ შეუდგეთ.

— ერთს კიდევ გამოვიძახოთ და შემდეგ შევსწყვიტოთ, ამბობს პოლიტხელი.

პატარა ტანის წითელ-არმიელი ტურიაშვილი მკვირცხლად წამოხტა გაჩერდა მაგიდის წინ.

— აბა მითხარი ამხ. ტურიაშვილო — ეკითხება პოლიტხელი—რატომ გააუქმა კერძო საკუთრება მიწაზე საბჭოთა ხელისუფლებამ?

— მიწა, ეს არ არის ადამიანის მიერ შექმნილი, ის გაჩნდა ბუნების მოვლენით და წინადაც არავის ეკუთვნოდა. მიწაზე, რომ შეენარჩუნებია კერძო საკუთრება საბჭოთა ხელისუფლებას, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მისი ყიდვა-გაყიდვა და შესაძლებელი იყო, რომ მთელი მამულები, რომელიც ჩამოერთვათ მიწის მფლობელებს, კვლავ გადასულიყო ვაჭრების და ჩარჩების ხელში. საბჭოთა ხელისუფლება მიწას აძლევს მას, ვისაც შეუძლიან დაამუშაოს ის თავისი საკუთარი შრომით.

კიდევ იქნა მიცემული რამოდენიმე საკითხები და პირველ დღეს გამოცდებიც შესწყდა.

წ. არმ. **ერმა.**

ცალკე მესანგრე ასეულში.

ა. წ. 7 სექტემბერს ცალკე მესანგრე ასეულში მოხდა კომუჯრედის მორიგი კრება. კრებას დაესწრო ყველა პარტიული ამხანაგები და უპარტიო წითელი არმიელები.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები. 1. წარსულ სხდომის ოქმის დამტკიცება. 2. რაიკომთან დაკავშირების შესახებ. ოქმი წაკითხვის შემდეგ უცვლელად დაამტკიცა კრებამ.

რაიკომთან დაკავშირების შესახებ მოხსენება გააკეთა სამხკომმა ამხ. ჯავახოვმა და აღნიშნა რაიკომთან დაკავშირების აუცილებლობა და მისი ფორმები.

მოხსენების შემდეგ ამ საკითხზე კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება; დაევალოს ამხ. ჭელიძეს მოაგვაროს ეს საქმე და უახლოეს დროში დაკავებული იქნას კავშირი რაიკომებთან. მიმდინარე კითხვებში გაირჩა ამხ. ბრიუხანოვის განცხადება რომელიც თხოულობს ატესტაციის მიცემას სამედიცინო აკადემიაში შესასვლელათ. კრებამ გაითვალისწინა, რომ ამხ. ბრიუხანოვის ნაწილში ყოფნის დროს არაფერი ცუდი არ ჩაუდენია, მიეცეს ატესტაცია, როგორც კეთილ სინდისიერ პიროვნებას. შემდეგ ამისა კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

მეწიეთელი.

მე-3-ე ლეგიონში.

მესამე ლეგიონის წითელ მოლაშქრეთა უმეტესობას შეადგენდენ წერა-კითხვის უცოდინარნი. მაისის თვეში მათთვის, რომ გეკითხნათ უნდათ თუ არა სწავლა „კიო“ მაგრამ გულცივად ეკიდებოდენ და არაფერი აინტერესებდათ; სიბნელის მორევში იყვნენ ჩაფლულნი და დიდი მეცადინეობა დასჭირდათ სამხკომს და პოლიტ-ხელებს, რომ განეფანტათ მათ აზროვნებაში ფრთა გაშლილი ბურუსი. უმრავლესობას მათგანს საყელოს რომ გაუხსნიდი—ყელზე შეამჩნევდით სიბნელის სიმბოლოს და მღვდლების იარაღსა სინათლის წინააღმდეგ—ჯვარსა.

მიდიოდა დღეები... დატრიალდენ პოლიტ მომუშავენი და... ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის გუმბათზე ჯვრის მოხსნა თითონვე მოსთხოვეს სამხედრო კომისარს. სწავლამ მაღლა ასწია ჩირაღდანი სინათლისა და ჰქრება ბნელი, რომელიც საუკუნეებით უხუთავდა სულს მშრომელ ხალხს.

იმართება საუბრები პოლიტიკაზე, სამხედრო ცოდნაზე, ლიტერატურაზე; გამოდის კედლის გაზეთი, რომელსაც დიდის ინტერესით ეპყრობიან არმიელები და თანამშრომლობენ ეს, ამას წინად წერა-კითხვის უცოდინარი მოლაშქრენი ერთ დღეს რომ ვერ ნახავენ გაზეთ „წითელ არმიელს“—ობლად გრძნობენ თავს, ისე შეუყვარდათ თავისი სარკე და გულის მესაიდუმლე.

ამ რამდენიმე დღის წინად ჩვენმა სამხედრო კომისარმა საერთო კრებაზე ილაპარაკა „წითელ არმიელის“ დახმარების შესახებ და... არმიელებმა ერთხმად შესძახეს, რომ იგინი სიამოვნებით გაიღებენ ორი დღის ულუფას, ოღონდაც ჩვენი გაზეთი განაგრძობდეს შეუწყვეტლივ გუშაგობას ჩვენი კულტურის სადარაჯოზე.

მრავალ ჟამიერ ჩვენს სიამაყეს—გაზეთ „წითელ-არმიელს“!

ლან—ი.

ქუჩას.

ქუჩავ! მუდამ ვიყავ მე შენი მებაირახტრე,
და შენს წიაღში ვიზრდებოდი ობოლი ობლათ,
ბოლმა, ნაღველი, მწარე ცრემლი ბევრი ვინამე
მაგრამ შენს დევიზს არასოდეს არ ვღალატობდი.

ძველს ფარაჯაში გახვეული მე შენ მამიღე,
შენ შემასწავლე შრომა მტკიცე, ბრძოლა გმირული,
და შენ აღმზარდე შენს წიაღში პატარა ბავშვი
წმინდა ემბლების მესვეურათ შენ თვით გამხადე.

ხელ გამოწვდილი კვლავ რომ ვიდგე მე შენს სივრცეში
სხვამ რომ გამწიროს, შენ მაინც ხარ ჩემი მფარველი,
სანამდი შევსძლებ შენ შეწირავ ჩემს ჯანს და ღონეს
და ჩემს მკვდარს სხეულს შენ გაუხდე უნდა სავანეთ.

ქუჩავ! მუდამ ვიყავ მე შენი მებაირახტრე
და შენს წიაღში ვიზარდებოდი ობოლი ობლათ,
ბოლმა ნაღველი, მწარე ცრემლი ბევრი ვინამე
მაგრამ შენს დევიზს არასოდეს არ ვღალატობდი.

გოგიტო ციმბირელი

პატარა ფელეტონი

ბეწვის ხიდი

სამოსწავლო ათასეულის ყაზარმაში და ეზოში

— სად ხართ კაკო ამღენიხანი?! „გადაგვეხვია დათიკომ და ბეშტიას და გადაგვკოცნა. თქვენ მოლოდინში აქ ზოგიერთს არც დღე ეძინა და არც ღამე მოსვენებაში არ იყვენ...

— მე კი ჩემებურად ვაჩქარებდი, ჩაურთო სიტყვა ბეშტიამ.-მაგრამ მოგეხსენება მძიმე არტილერიის საქმე; სანამ ეს გოჩმანა აგორდებოდა, მანამ კაი ხანი იყო საჭირო.

— წამობრძანდით! წამობრძანდით!“ გაიწვევდა დათიკო მაღლა ყაზარმებში.

— ადექით სმენაა!! “გაისმა მორიგის ხმა და ყველა წითელ არმიელები, როგორც ერთი კაცი ფეხზედ წამოდგა. ზოგს ცალხელში გახდილი ბატინკა ეჭირა და ისე გაჭიმულიყო, ზოგს შარვალი ხელში შერჩენოდა, ზოგს თოფის ლულა მხარზედ მიედო, ზოგს გაზეთი ძირს დაეშვა.

— გთხოვთ გამიცნოთ, მე ბეშტია თავქარიძე გახლავართ და ეს კიდევ, თქვენ დათიკოსავით რომ გაგანიერებულა, ჩემი მტერ მოყვარე გოჩმანაა!“ ეცნობებოდა ბეშტია წითელ არმიელებს და ხელს უწოდებდა, მაგრამ მას ხელი არავინ ჩამოართვა.

— რა ნაირი გაუზრდელები არიან გოჩმან, მე ხელს ვართმევ და არავინ არ მიპასუხებს,“ შემომჩივლა ბეშტიამ.

— თავისუფლად!!! გასცა ბრძანება დათიკომ, ყველამ ჩვეულებრივი მდგომარეობა მიიღო და ბეშტიას შემოეხვივნენ.

— მე როცა ჯარის-კაცი ვიყავი ნიკოლოზის დროს,“ დაიწყო ბეშტიამ, სწორეთ ამ ყაზარმაში ვიყავი მინგრელსკი პოლკში.. დისციპლინა ძლიან მიყვარდა და კაი თანამდებობაც-მეჭირა მელამფე ვიყავი, ხალხს უბრძანებდი ხოლმე ცხრა საათზედ დაძინეთ მეთქი და ჩაუქრობდი ხოლმე ლამფებს, შემდეგ ნავთის სანავთეში გადავასხავდი და საქულა მედუქნე რომაა, იმასთან მ მქონდა საგარეო ვაჭრობის მაზნით. იქიდან „ნოეს საჰკურნალოში“ მივდიოდი საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის გასავითარებლად და ყაზარმებში მეორე დღეს ვბრუნდებოდი შინაგან პოლიტიკის გასაცხოველებლად.. ერთი სიტყვით დისციპლინა ძლიან მიყვარდა...

— ბეშტი, ეხლა მაგისთანა დისციპლინ სათვის კაი დღე არ დაგადგებოდა! უთხრა ბეშტიას მოხდენილმა ულვაშაღერებულმა წითელ-არმიელმა.

— მითომ რატომაა?! გაკვირვებით შეეკითხა ბეშტია.

— იმიტომ, რომ მაგისთანა ქაფისტობისათვის ჩეკაში გიკრავდენ თავს.

— ეხეე!.. მაშ რა დისციპლინა გქონიათ თქვენ?!.. უკვირდა ბეშტიას და გონს ვერ მოსულიყო.

— ეს რა ჩამოუკიდიათ? კედლის გაზეთი? ბიჭოოს!.. აბა მელამფე სულ დალუპულაა.. აბა, აქ ერთი რა პოლიტიკა უნდა ატაროს მან?! სულად ამ გაზეთში გაგაჭრელებენ კაი ხამადანის ჯორივით.. არა ძმაო, ეხლა დისციპლინა არა გქონიათ. მართლა და რა არის, რომ მელამფემ ცოტაოდენი ნავთი ღვინოზედ გადაცვალოს?!..

— აქ ელექტრონის ლამფები გვაქვს?!

— ჰოო! ეჰე... მაშ დისციპლინა სულ მთლად დაღუპულა, „ოხრავდა ბეშტია და ფანჯარაში დაფიქრიანებული იყურებოდა. ეზოში ზორბა, მოსულ, მხარბეჭიანი წითელ-არმიელებისაგან შემდგარი უმცროს მეთაურთა ასეული მეცადინეობდა. ასეულის უფროსი გამხდარ-გამხდარი, მოძრავი, შუახნის სამხედრო პირი ძალიზედ ანჩხლობდა, როცა ასეული სხვა და სხვა ილეთებს ისე სხარტად არ აკეთებდა, როგორც მას ჰსურდა.

— დათიკო ასეთი ხალხი სად შეგიგროვებიათ? ბეშტია, აი იმ ბიჭმა რომ შეგიბეროს იმ ყაზარმის დალეჯილ სახურზედ აგაფრენს!“ შეუჩხინე ბეშტიას.

—მე კიდევ არაფერი, სუმბუქი ვარ, მაგრამ შენ, რომ აი ასეულის წინ რომა დგას... იმან რომ მოგთავაზოს მუშტი, მოზვერის თავს რომ მიუგავს შენ სახურზედ კი არა ვერაზედ ბაბაჭუას ბაღში გადაგაგდებს, მომიგო პასუხი ბეშტიამ.

—ეს ვინ არის დათიკო? მამლაყინწასავით, რომ დადის ტყვიამფრქვევის წინ? ვისაც გინდა დავენაძლევები, რომ მაგას ნაძვის სარი აქვს გადაყლაპული, ისე გაჭიმულა! შეეკითხა ბეშტია დათიკოს, როცა მან შეამჩნია პაწია-ულვაშ-აწკეპილი, შუშაბანდიანი ახალგაზრდა სამხედრო პირს, რომლის უშველებელ ქუსლიან ჩექმებს საჟენის სიგრძის დეზები ამშვენებდენ. მას ვაქსის კოლოფის სახურავი ეკავა ხელში და პუდრით ცხვირს იგანგლავდა. შემდეგ გადახედა თავის თავისებურ ბრჭყვიალა ნიშნებს საყელოზედ და სახელოზედ, ულვაშში მაღლა აიწკიპა, დეზი-დეზს შემოჰკრა და ჯიბირან ოდეკოლონის შუშა ამოიღო შესაფსკუნებლად.

—როგორც ეტყობა მეკადინეობა თავდება. სთქვა დათიკომ.

—ყველა მისი სამზადისი მაჩვენებელია მეცადინეობის გათავებისა.

—ნაბიჯით იარრ!.. ერთი.. ორი.. სამი... გაისმოდა ასეულის უფროსის ხმა და ასი კაცი როგორც ერთი ერთდროულად სხარტად მოძრაობდა, ვით მანქანა. ასეულს გვერდზედ მისდევდა უშველებელ დეზებიანი ყმაწვილი, რომელიც დეზებს ერთი ერთმანეთს ურტყამდა და ამ მუსიკით დამტკბარი დიდ სიამოვნებას განიცდიდა.

—წავიდეთ ათასეულის შტაბში... იქ ცოტაოდენი საქმე მაქვს. გვითხრა დათიკომ და ჩვენც გავყევით მას.

გოჩმანი.

ახალი ამბები

სკოლის გარეშე განათლების მუზეუმები.

განზრახულია პროვინციებში პოლიტ-განათლების განყოფილებებთან გაიხსნას სკოლის გარეშე განათლების მუზეუმები.

რაიონულ ტყის გამგეთა თათბირი.

ამ ჟამად ტფილისში მიმდინარეობს რაიონულ ტყის გამგეთა თათბირი. თათბირზე საანგარიშო და ფინანსიურ საკითხების გარდა ირჩევა საკითხები ტყის გაშენება და მოვლა-პატრონობის შესახებ.

სახელმწიფო გამომცემლობაში

სახელმწიფო გამომცემლობამ მაზრების განათლების განყოფილებებს გაუხსნა ფართე კრედიტი სახელმძღვანელოებზე და სხვა და სხვა მარქსისტულ წიგნებზე.

ღვინის ვაჭრობა

ა. კ. ცენტრ. კავშირის განყოფილებამ წარმოკავშირისაგან შეისყიდა 1.500 ვედრო ღვინო რუსეთის ბაზარზე გასასაღებლად.

ჯარის ნაწილების ფერშლების რეგისტრაცია.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა 1-ლ ნოემბრისათვის მოითხოვა, ჯანმრთელობის ყველა განყოფილებებისაგან დაწვრილებითი სიები ჯარის გუნდების ფერშლებისა, მათი განათლებისა, ცენზის და სტაჟის აღსარიცხავად. აღნიშნულ ფერშლებს დაენიშნებათ გამოცდები, რის შემდეგაც მიიღებენ შესაფერ მოწმობებს.

სამხედრო საქმე

დამფარ ჯარის გაძლიერების წესი.

პოლიტიკურ საკითხების გართულების შემთხვევაში საზღვრების დამფარი ჯარის გაძლიერება საჭირო იქნება, მხოლოდ ეს ისე უნდა ხდებოდეს, რომ ჯარის არსებული შეერთებანი არ დაირღვეს, რისთვისაც მოწინავე ხაზზედ, ფართე ფრონტზედ მოთავსებულ ნაწილებს შეჰკრებენ და მათ შუა დარჩენილ ალაგებში შეიყვანენ ახალ მოსულ ჯარის ნაწილებს.

1877 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, რუსის სარდლობა შეეცადა ჯარის ამგვარი შეყვანით შეცდომაში შეეყვანა ოსმალები, რათა მათ არ ჰქონოდათ წარმოდგენილი რუსის არმიის ნავარაუდევი გაშლის წესი.

რაც უფრო დიდი იქნება დასაცავი უბანი, მით უფრო მეტი მაშველი ჯარი უნდა იყოლიონ განკარგულებაში სახიფათო ალაგის გასაძლიერებლად, შემოჭრილ მტრის მოსაგერიებლად, ან და პოზიციის დასაკავებლად, ან მოწინავე ხაზის ჩასაბარებლად.

მაშველი ჯარის მისათავსებელ ალაგათ აირჩევენ საკუთარ დახევის გზის ქსელის მიხედვით. აგრეთვე მხედველობაში უნდა იქმნეს მიღებული ის მიმართულება, საიდანაც მოწინააღმდეგის გამოჩენა მოსალოდნელია.

როცა რკინის გზით გადმოისხმის და შეგროვდება ცალკე კორპუსები, იგინი აგზავნიან დამოუკიდებელ საკუთარ წინმავალს და მათ წასწევენ საზღვრების დამცველ ხაზების შუა შუალედებში.

ჯარის ასეთი გადაჯგუფება, რასაკვირველია მტრის შეუმჩნეველი არ დარჩება, მხოლოდ არ უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ ამგვარი ოპერაციები საჭიროებას წარმოადგენს, რადგან ახლად მოსულმა ჯარმა არ იცის არც ადგილ-მდებარეობის პირობანი და არც მტრის ნაწილების განაწილება.

ამ მიზეზით მას არ შეეძლება არც სადარაჯო და არც ძიების სამსახურის შესრულება ისეთის წარმატებით, როგორც უწინ მოთავსებული ჯარის შენაწილია. ამ გარემოებას უნდა ანგარიში გაეწიოს ადრე თუ გვიან და, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოლიონ მაშველი უკან, როდესაც ჰსურთ მტრის მოტყუილება.

მხოლოდ მტრის ამ გვარი მოტყუილება იშვიათად ხერხდება, რადგან რკინის გზის მიმოსვლა და მით ჯარის გადაყვანა მისთვის შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს და ძნელადაც დაიფარება.

ნამდვილ ომიანობის დაწყების შემდეგ, ე. ი. ბურჟუაზიულ ქვეყნების მიერ, საერთაშორისო ჩვეულებით ომიანობის გამოცხადების შემდეგ, საზღვრის გადალახვა ითვლება კანონიერათ.

სინამდვილეში კი, რასაკვირველია, ამ გვარ ჩვეულებებს და კანონებს არ ასრულებენ და უნებლიეთ იბადება საკითხი: საჭიროა თუ არა ამ გვარ ფორმალობის დაცვა მაშინ, როდესაც ხელსაყრელი პირობებია დასახულ მიზნის მისაღწევად.

სამხედრო თვალთახედვის ისრით შესაძლოა ომის გამოცხადებასთან ერთდროულად საზღვრის გადალახვა, რათა მოულოდნელი თავდასხმით მოუმზადებელი მტერი ზნეობრივად შესუსტდეს, ან კიდევ მნიშვნელოვან პუნქტების დაკავება, როგორც მაგალითად მდინარეების ხიდები, ფონები და მთების გასავალი გზებია.

საზღვრების მიმართულების უცოდინარობას შეუძლია გამოიწვიოს არასასურველი გაუგებრობა, რომელიც შეიძლება დიდი შეტაკებით დასრულდეს.

ამ გაუგებრობის ასაცდენათ სანაპირო ჯარებმა უნდა მიიღონ სათანადო დარიგებანი.

ამავე დროს ჩვენ საკუთარ ტერიტორიაზედ შემოჭრილი მტრის ყოველი პარტია უნდა შეიმუსროს და საზღვრებიდან გაირეკოს. უმაღლეს სარდლობას, თუ კი ის მოისურვებს, შეუძლიან ჩასთვალოს საზღვრების ამ გვარი გადალახვა მთავარ ძალებით შეტევაზედ გადასვლის საბაბათ.

გ. ბ.

რადიო-ლექსები

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

უკანასკნელი ცნობები.

მუსოლინი კორფუს ეცა
თითქოს ძაღლმა ნახა ძვალი
ახლო-მახლო კუნძულებსაც
გადაავლო ხარბი თვალი

სთქვა: „პუანკარე რურს მიირთმევს
რეინლანდიც მიაყოლა,
მეც მსურს დაპყრობა განვაგრძო
რადგან არ მჭირდება ბრძოლა.

მე წინ წავალ საბერძნეთი
უკან იხევს ნელა ნელა,
თუმცა ჩერჩეტ ერთი ლიგას
განუზრახავს მისი შველა.

მაგრამ რაა მე ამ ამბით
თავს არ შევიწუხებ ბევრად
გამოვაცხადებ: „დღეიდან“
ნულარ ჩამთვლით ლიგის წევრად

შემდეგ ნებას არვის მივსცემ
შელახოს ჩემი ღერბია,
მე ვსცემ, ბერძნებმა ითმინონ
ხმას ნუ გაიღებს სერბიც.

და საფრანგეთსაც ის უჯობს
სწორედ სთქვას კი ნუ მიჰქარავს
სხვისი რად უკვირს როდესაც
თითონ სცარცვავს და იპარავს.

დელიუანტი.

მეცნიერება და ტექნიკა

უდიდესი ჭოგრიტი (ტელესკოპი)

1921 წ. ამერიკაში ვილსონის მთაზე მოაწყვეს ქვეყნიერებაზე არსებულ ჭოგრიტებს შორის უდიდესი ჭოგრიტი.

ჭოგრიტი შესდგება შეზნექილი სარკის და თვალის ანუ ოკულიატორისაგან. რაც უფრო დიდია სარკე მით მეტია ჭოგრიტის დასაახლოვებელი ძალა. ზემოაღნიშნულ ჭოგრიტის სარკის სიგანე უდრის 100 დიუმს, ე. ი. 2 ნახ. მეტრს, ხოლო მილის სიგრძე კი 134 ფუტს (ანუ 18 საჟენს რუსული საზომით). ხსენებული ჭოგრიტით შესაძლებელი გახდა ფოტოგრაფიული სურათების გადაღება და თვალყურის დევნება მეტად მცირე ზომის ვარსკვლავებზედაც, რომლებიც სრულიად არა ჩანან შეუიარაღებელი თვალით (22 ვარსკვლავ. სიდიდის). ვილსონის მთის ჭოგრიტი ცის სხეულებს აახლოვებს ჩვენთან 5000 ჯერ. ამ ჭოგრიტით მთვარე ახლოვდება დედა-მიწასთან 76 კილომეტრის მანძილზე. (ნამდვილად დედა-მიწიდან მთვარემდე მანძილის სიგრძე უდრის 380.000 კილომეტრ.). ამ გრანდიოზული ჭოგრიტის საშუალებით აღმოჩენილ იქნა ისეთი მცირე სიდიდის სხეულები სივრცეში, რომლებზედაც მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა. მაგალითად შესაძლებელი გახდა განსაკუთრებულ საზომ საშუალებათა მოხმარებით გაეგოთ მისი მეოხებით კრებულ ორიონში მყოფ ერთი მეტად ბრწყინვალე ვარსკვლავის სიდიდე. ცდებმა დაამტკიცეს, რომ აღნიშნული ვარსკვლავი 160 ჯერ მეტი ყოფილა ჩვენს მზეზე. ამ ჭოგრიტის საშუალებითვე მიღებული იქნა სხვა და სხვა ვარსკვლავებისა და მთვარის საუცხოვო ფოტოგრაფიული სურათები. უდიდესი ჭოგრიტების დამამზადებელი ტეხნიკა შესაძლებლობას იძლევა იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში კაცობრიობა მიაღწევს უფრო უდიდეს და საყურადღებო აღმოჩენებს უძლიერესი ასტრონომიული იარაღების მოხმარებით.

ფოტო-მბეჭდავი მანქანა.

ერთმა ინგლისურმა ფირმამ ბეჭდვითი საქმეში შემოიღო ახალი საყურადღებო გაუმჯობესება. ახალი საბეჭდავი მანქანა, რომელსაც სახელად „გუნტერე“ ეწოდება, წარმოადგენს ფოტოგრაფიულ აპარატს და უზამაზარი ერთი გაზეთის ფურცლის ოდენა სინათლის მგრძნობელ ფირფიტას.

როდესაც მუშა ხელს დააჭერს მის წინაშე მდგარ კლავიატურის ერთ კლავიშთაგანს, მაშინ იმწამვე არა რომელიც შეერთდება აღნიშნულ კლავიშს აღიბეჭდება ფირფიტაზე და ასე შემდეგ.

ბოლოს და ბოლოს მანქანისაგან უშუალოდ ამოიღებენ უკვე დამზადებულ გაზეთს. აუარებელი ხარჯები რომელიც გამოწვეულია ასოების აწყობით და ბეჭდვით ამნაირად თავიდან იქნა აცილებული.

აღნიშნულ გამოგონებას უთუოდ დიდი მომავალი ელის.

მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ სამეცნიერო კრებულ

„ჩვენი მეცნიერება“-ზე

კრებულის მორიგი ნომერი გამოვა 25 ენკენისთვეს.

კრებულში თანამშრომლობენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები.

ფასი 1 მან. ჩერვონ. საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, რომლებიც კრებულს მუდმივად გამოიწერენ, დაეთმობათ 15% დაკლებით.

კრებულის № 1 შინაარსი.

1. პროფ. დ. უზნაძე—impersonalia.
2. დოც. ს. დანელია—ჭეშმარიტების გვარი.
3. დოც. მ. ნათაძე—ჰექტომორები უძველეს საბერძნეთში.
4. პროფ. კ. კეკელიძე—ესქატოლოგიური მოტივები მთელს ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში.
5. ს. გორგაძე—ნეოპლატონური ფილოსოფიის ერთ უძველეს კვალთაგანი ქართულ მწერლობაში.
6. Prof. G. Zereteli—Zvuci Dekmáler der qriechichen Schift in Aeqypten.
7. ლეონ მელიქსეთ-ბეგი—მასალები ტფილისისა და „სომხეთის“ სიძველეთა ისტორიისათვის.
8. პროფ. გ. ახვლედიანი—ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში.
9. პროფ. ა. შანიძე—ოცობით თვლა და ათობით წერა ქართულში.
10. ე. თ—ფ-ია. სინტაქსიური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით.
11. ნოე ყიფიანი—გეოლოგიური შენიშვნები.
12. პროფ. პ. მელიქიშვილი—ქიმია და ქიმიური მწერლობა.
13. პროფ. ან. რაზმაძე—მრუდეთა ერთი თვისების დამტკიცება და ამ თვისების გამოყენება დიფერენციალურ აღრიცხვაში.
14. პროფ. ან. რაზმაძე - Sur une formule ade la Moyenne.
15. პროფ. ალ. ნათიშვილი—ადამიანის ორგანიზმის გაახალგაზდების პრობლემა.
16. პროფ. ს. ამირაჯიბი—კვების საკითხის შესახებ.

კრებულს დართული აქვს ცნობები ქართ. უნივერ. სტუდ. და პროფ. როდეობის შესახებ; უნივ. გამოცემათა ბიბლიოთეკის შესახებ და უნივერ. პროფ. და მოსწავლეთა ალფავიტური სია; და დამსახურებული პროფ. სურათები.

კრებულის № 2-ე შინაარსი:

1. პროფ. შ. ნუცუბიძე—შპენგლერი, როგორც ევროპიულ აზროვნების კრიზისის მაჩვენებელი.
2. ა. ბაქრაძე -ალეთეოლოგიური რეალიზმი.
3. პროფ. დ. უზნაძე - სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები.
4. პროფ. გ. ახვლედიანი—„სა—“ და „ურ—ი“-ს მნიშვნელობა.
5. —პროთეტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში.
6. ბ. ჩიქობავა—ვ ინის რეფლექსები ფერეიდნულში.
7. დოც. გრ. ნათაძე—გლეხების გადასახადები უძველეს საბერძნეთში.
8. პროფ. კ. კეკელიძე—ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში.
9. პროფ. გ. წერეთელი—მენანდრის კომედიები.
10. ს. გორგაძე—ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში.
11. პროფ. ბერიტაშვილი და ექ. იაშვილი—აგზნებულების სხვა და სხვაობა კუნთის ფარგლებში,
12. პროფ. ალ. ნათიშვილი—ადამიანის აორტის რკალის დატოტიანების წესის ემბრიონალური დარღვევა.
13. პროფ. ე. მოსეშვილი—საქართველოს რესპუბლიკის საბანლეოლოგიო პუნქტების მოწყობის შესახებ.
14. რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მართველობის მოღვაწეობა.

დამატება: საენათმეცნიერო ტერმინოლოგია—(მიღებული საქ. სახ. სამეცნიერო საბჭოს მიერ).

ხელის მოწერა სწარმოებს და გამოსული 3 ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში—კადეტის ქუჩა № 6, და კოოპერ. „კომუნაში“ გოლოვინ. 40. ფასი 1 მან. 50 კ. ჩერვონ.

კრებულის პასუხისმგებელი რედაქტორი და გამომცემელი **ან. შილაკაძე.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა **პასუხის-მგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.**